



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 42

2018 წლის 29 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტის სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მასზე საიჯარო საწყისი ქირის საფასურის დადგენის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას ელექტრონული აუქციონის გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში, მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01/517) სარგებლობაში გადაცემა.


2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში, მდებარე 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01/517) თვიური საწყისი საიჯარო თანხა 5 ლარის ოდენობით;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე